




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 23

2013 წლის 8 თებერვალი



ქ. ხაშური

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 26 ივლისის N26/07/12 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 2012 წელში აუთვისებელი სახსრების ნაშთის გამოყენების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 ივლისის N139 განკარგულების შესაბამისად:

1. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 26 ივლისის N26/07/12 განკარგულების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების თავისუფალი (აუთვისებელი) ნაშთი 7 604 ლარის ფარგლებში განსახორციელებელი ცალკეული ღონისძიებების მოცულობა და სამუშაოთა ნუსხა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება - 6 604 ლარი;

ბ) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ღირებულება - 1000 ლარი;

2. განკარგულება შესასრულებლად გადაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე

